ხელშეკრულება N69/10

სპეც. წესით შესყიდვის შესახებ

ქ. თელავი

20 თებერვალი 2017 წ.

ერთის მხრივ სს „კახეთის ენერგოდისტრიბუცია“, შემდგომში წოდებული „შემსყიდველი“, წარმოდგენილი მისი გაკოტრების მმართველის, აღსრულების ეროვნული ბიუროს წარმომადგენლის ზურაბი მეტრეველის სახით და მეორეს მხრივ იმ ივანე ოთიაშვილი, შემდგომში წოდებული „მიმწოდებელი“, ვმოქმედებთ რა საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე, სს „კახეთის ენერგოდისტრიბუციისათვის“ საქონლისა და მომსახურების შესყიდვების სპეციალური წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 დეკემბრის N657 დადგენილების შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 სატვირთო ავტომანქანის (გაზ53) ნაწილების შესყიდვა.
1.2 შესყიდვის საშუალება გამარტივებული შესყიდვა.
1.3 შესყიდვის კატეგორია: „სპეც.ტექნიკის სათადარიგო ნაწილები“.
1.4 დაფინანსების წყარო 2017 წლის საკუთარი შემოსავლები.

2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

2.1. ხელშეკრულების ინსპექტირებას განახორციელებს შემსყიდველი ან მის მიერ უფლებამოსილი პირი.
2.2. შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, ინსპექტირების ჯგუფი, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია ჩაატაროს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი და თუ აღმოჩნდება წუნდებული შესყიდვის ობიექტი, მიმწოდებელი ვალდებულია დაუყოვნებლივ გამოასწოროს წუნი, იმ შემთხვევაში თუ წუნის გამოსწორება შეუძლებელია და შემსყიდველს უკვე გადახდილი აქვს ღირებულება დაუბრუნოს შემსყიდველს აღნიშნული წუნდებული საქონლის/მომსახურების ღირებულება.

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა და ადგილი

3.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადაა ხელშეკრულების დადებიდან არაუმეტეს 5 დღე.
3.2. მიწოდება ადგილი ქ. თელავი, ალაზნის გამზ. N93.

4. მხარეთა უფლება - მოვალეობები

4.1. „შემსყიდველი“ ვალდებულია აანაზღაუროს შესრულებული საქონლის/მომსახურების ღირებულება.
4.2. „შემსყიდველი“ ვალდებულია დაუყონებლივ, წერილობითი ფორმით აცნობოს „მიმწოდებელს“ წუნის შესახებ.
4.3. მიწოდებელი საქონლის/მომსახურების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ხელშეკრულებით განსაზღვრულ პირობებს. პირობების ცვლილების შემთხვევაში ფორმდება შეთანხმება.
4.4. „მიმწოდებელი“ ვალდებულია გადასცეს „შემსყიდველს“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება დადგენილ ვადებში;
4.5. ხელშეკრულების მხარეები ვალდებულნი არიან დაიცვან ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა;

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. “შემსყიდველი“ და „მიმწოდებელი“ მოქმედებენ საქართველოს კანონის სრული დაცვით.
5.2. შესყიდვის ობიექტი, ან მისი ნაწილი (ეტაპი) მიღებულად ითვლება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
5.3. შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის, ეტაპის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრისას, „შემსყიდველს“ უფლება აქვს „მიმწოდებლის“ ხარჯზე განახორციელოს აღდგენასთან დაკავშირებული ოპერაციები.

6. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

6.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 160 (ასსამოცი) ლარს.
6.2. ღირებულება მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს დღგ-ს გარეშე.

7. ანგარიშსწორების პირობები

7.1. მომსახურების ღირებულების გადახდა ხდება მიღება-ჩაბარების აქტი საფუძველზე არაუმეტეს 10 სამუშაო დღის ვადაში.

7.2. მიწოდებული მომსახურების სრული ანგარიშსწორება ხდება ნაღდი ანგარიშსწორებით ლარებში.

8. ფორს-მაჟორი

8.1. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემკვეთსა და/ან შემსრულებელს შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინის და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

8.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გრძელდება 3 თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება კომპენსაციის მოთხოვნის გარეშე.

9. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

მხარეთა შორის წამოჭრილი დავები შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე, ხოლო შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავას წყვეტს სასამართლო, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან და ძალაშია 2017 წლის 01 აპრილამდე.

11. სხვა პირობები

11.1. ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

11.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის თანხმობის გარეშე.

11.3. ხელშეკრულება დგება ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად. ერთი ინახება შემსყიდველთან, ერთი – მიმწოდებელთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

12. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი"

სს კახეთის ენერგოდისტრიბუცია
ს/კ 203866824
ქ. თელავი, ალაზნის გამ. №93
გაკოტრების მმართველი
აღსრულების ეროვნული ბიუროს
წარმომადგენელი
ზურაბი მეტრეველი

„მიმწოდებელი"

ი.მ. ივანე ოთიაშვილი
მის: თელავი, ალაზნის გამზ.N14
პირადი: №20001017301
სს „თიბისი ბანკი"
ბანკის კოდი: TBCBGE22
ა/ა: GE57TB0900003602012699

ივანე ოთიაშვილი

„შემსყიდველი" _____

„მიმწოდებელი" _____